



სტატისტიკური ინფორმაციის
მომხმარებელთა
კმაყოფილების გამოკვლევა

2021 წელი

*საწარმო მონაცემები სწორი
გადასწავლეცილობებისთვის!*





გამოკვლევის მოკლე აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა ჩაატარა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების საკითხებზე მომხმარებელთა განწყობების შესწავლა, საქსტატის მუშაობის ხარისხის შეფასება და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ასევე მომხმარებელბთან კომუნიკაციაში საქსტატის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

გამოკვლევა განხორციელდა საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, გაეროს¹ და მსოფლიო ბანკის² მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიების შესაბამისად.

გამოკვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდით, ხოლო გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასება ასევე განხორციელდა თვისებრივი მეთოდით.


გამოკვლევა ჩატარდა 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში და მოიცვა ყველა ინსტიტუციური სექტორი. რაოდენობრივ გამოკითხვას ექვემდებარებოდა 15 წლის და უფროსი ასაკის 600-მდე რესპონდენტი.

1 Recommendations for Promoting, Measuring and Communicating the Value of Official Statistics, UN, New York and Geneva, 2018

2 User Satisfaction Survey on the Quality and Use of Official Statistics for Informed Policy- and Decision-Making, WB, 2010, <https://www.worldbank.org/en/data/statistical-capacity-building/statistics-for-results-facility-catalytic-fund#5>



მომხმარებელთა განაწილება სქესის მიხედვით




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაციის აქტიურ მომხმარებელთა 57 პროცენტს წარმოადგენენ ქალები, ხოლო 41 პროცენტს - კაცები.





მომხმარებელთა განაწილება ასაკის მიხედვით




აქტიურ მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი 25-დან 34 წლამდე ასაკში იმყოფება, მათი წილი მომხმარებელთა საერთო რაოდენობის 43 პროცენტს შეადგენს. 35-44 წლის ასაკის მომხმარებლები სტრუქტურაში 23 პროცენტიანი წილით არიან წარმოდგენილები, მათ 3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩებიან 45-64 წლის ასაკის მომხმარებლები, ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მომხმარებლები 4 პროცენტიანი წილით არიან წარმოდგენილები.





მომხმარებელთა განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით




ინფორმაციის მოხმარების მიხედვით, 15-34 და 45-64 წლის ასაკობრივ ჯგუფებში წარბოვნენ ქალები, ხოლო 35-44 და 65 წლისა და უფროსი ასაკის მომხმარებლებში უმეტესობას კაცები წარმოადგენენ.





მომხმარებელთა განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით





გამოკვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა საქმიანობის სფეროს ხუთი ძირითადი ჯგუფი: მომხმარებელთა 35 პროცენტი წარმოადგენს ბიზნეს სექტორს, სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული 15 პროცენტი, 12 პროცენტს წარმოადგენს კვლევითი, საკონსულტაციო (Think tank) ორგანიზაცია, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებებს წარმოადგენს მომხმარებელთა 10 პროცენტი, ხოლო მედიის წარმომადგენლების წილი შეადგენს 7 პროცენტს.






მომხმარებელთა განაწილება სქესისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით



საქმიანობის უმეტესი სფეროს მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, თუმცა ბიზნეს სექტორში კაცები აჭარბებენ ქალებს.



ყოველდღიური სიხშირით ინფორმაციის გამოყენების სტრუქტურა





ინფორმაციის გამოყენების სიხშირის მიხედვით გამოკვლევის შედეგების გაანალიზებისას, ირკვევა, რომ, ყოველდღიური სიხშირით სტატისტიკურ ინფორმაციას ყველაზე მეტად სახელმწიფო სექტორის (31%), ბიზნეს სექტორის (22%), მედიის (17%) და კვლევითი, საკონსულტაციო (Think tank) ორგანიზაციების (14%) წარმომადგენლები იყენებენ.





საქსტატის ვებ-გვერდზე ვიზიტის მიზანი

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საქსტატის ვებ-გვერდზე ვიზიტის ძირითად მიზანს, სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა უმეტესობისათვის წარმოადგენდა მონაცემთა ბაზების გამოყენება ცხრილებისა და ვიზუალური მასალის მოსამზადებლად, სტატისტიკური ცხრილებისა და პუბლიკაციების გამოყენება, ასევე ინფორმაციის მიღება ხელმისაწვდომი მონაცემების შესახებ.





ხშირად მოთხოვნილი ინფორმაცია

გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა ინფორმაცია ყველაზე ხშირად მოთხოვნილი და მოხმარებადი მონაცემების შესახებ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ტოპ ათეულის შესახებ, სფეროების მიხედვით.



① ბიზნეს სექტორი



② მოსახლეობა და დემოგრაფია



③ დასაქმება და ხელფასები



④ ცხოვრების დონე (სიღარიბე, საარსებო მინიმუმი)



⑤ საგარეო ვაჭრობა



⑥ ეროვნული ანგარიშები (მშპ, ეკონომიკური ზრდა)



⑦ ფასების სტატისტიკა (ინფლაცია)



⑧ ტურიზმის სტატისტიკა



⑨ რეგიონული სტატისტიკა




⑩ ბიზნეს რეგისტრი






საქსტატი ინფორმაციის ხარისხის შეფასება მომხმარებელთა მხრიდან




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა 68 პროცენტი მაღალ შეფასებას აძლევს საქსტატის მიერ წარმოებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, 25 პროცენტი ფიქრობს, რომ საქსტატის ინფორმაცია საშუალო ხარისხისაა, ხოლო 3 პროცენტი დაბალ შეფასებას აძლევს საქსტატის მიერ წარმოებულ მონაცემებს.





მეთოდოლოგიაზე ხელმისაწვდომობა




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა 61 პროცენტი მეთოდოლოგიაზე ხელმისაწვდომობას მაღალ შეფასებას აძლევს, 22 პროცენტი კი საშუალო შეფასებას.






ინფორმაციის სანდოობა




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა 66 პროცენტი საქსტატის მიერ წარმოებულ ინფორმაციას მალალი სანდოობით ახასიათებს, 24 პროცენტი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის სანდოობა საშუალო ხარისხისაა.






ინფორმაციის სარგებელიანობა




მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა - 79 პროცენტი, საქსტატის ინფორმაციის სარგებელიანობას მაღალ შეფასებას აძლევს, ხოლო 16 პროცენტის აზრით, ინფორმაციის სარგებელიანობა საშუალო დონეზეა.





გამოქვეყნებული ინფორმაციის ვიზუალური მხარე




მომხმარებელთა 66 პროცენტის შეფასებით, გამოქვეყნებული ინფორმაციის ვიზუალური მხარე მაღალი ხარისხისაა, ხოლო 22 პროცენტი საშუალო შეფასებით ახასიათებს.





ინფორმაციის მიღების დრო




მომხმარებელთა უმრავლესობა - 75 პროცენტი თვლის, რომ საქსტატიდან ინფორმაციის მიღება მაღალი ოპერატიულობით ხასიათდება, ხოლო 18 პროცენტი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის მიღების დრო საშუალო ხანგრძლივობისაა.





საქსტატის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები




რაც შეეხება საქსტატის საქმიანობისა და მის მიერ წარმოებული მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებს, მომხმარებელთა 37 პროცენტი ინფორმაციას იღებდა საქსტატის ვებ-გვერდიდან, 11 პროცენტი - საქსტატის მიერ გამოცემული პუბლიკაციებიდან, მომხმარებელთა 11 პროცენტი უშუალოდ საქსტატის თანამშრომლებიდან, 8 პროცენტი - საქსტატის მიერ გავრცელებული პრეს-რელიზებიდან, 7 პროცენტი - სოციალური მედიის არხების მეშვეობით, ხოლო 25 პროცენტი სხვა წყაროებიდან.





მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი




როგორც გრაფიკიდან ჩანს, მომხმარებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (98 პროცენტი) გამოხატა კმაყოფილება, საქსტატის მიერ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებსა და განუღმომსახურებასთან დაკავშირებით.





მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი საქსტატის მიერ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებთან და განუღ მომსახურებასთან დაკავშირებით

საქსტატის მიერ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებსა და განუღ მომსახურებასთან დაკავშირებით მომხმარებლის კმაყოფილების დონეს უფრო დეტალურად აღწერს მომდევნო გრაფიკი, სადაც წარმოდგენილია მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი ინფორმაციის გავრცელების ცალკეული საშუალებებისა და განუღ მომსახურების მიხედვით.




როგორც გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე მეტად მომხმარებელი კმაყოფილია საქსტატის ვებ-გვერდით და მისი მეშვეობით სტატისტიკური ინფორმაციის სიახლეების გამოწერის სერვისით.



სტატისტიკური პორტალებით კმაყოფილების დონე

გამოკვლევის შედეგების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების აბსოლუტური უმრავლესობა - 92 პროცენტი მაღალ შეფასებას აძლევს პორტალს „სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისთვის“, 84 პროცენტი - დემოგრაფიულ პორტალს, ხოლო 83 პროცენტი - ონლაინ ბიზნესს რეგისტრს.





სტატისტიკური პორტალები

გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა ინფორმაცია ყველაზე ხშირად მოთხოვნი და მოხმარებადი პორტალების შესახებ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ტოპ ათეული პორტალის შესახებ.



① ბიზნეს რეგისტრი



② დემოგრაფიული პორტალი



③ საგარეო ვაჭრობის პორტალი



④ ეროვნული ანგარიშების პორტალი



⑤ ხელფასების კალკულატორი



⑥ გენდერული სტატისტიკის პორტალი



⑦ პორტალი „სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისთვის“



⑧ GIS ანალიზი



⑨ საერთაშორისო შედარებების პორტალი




⑩ რეგიონალური სტატისტიკის პორტალი





საქსტატის დამოუკიდებლობის ხარისხი




მომხმარებელთა 58 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქსტატი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სარგებლობს, ხოლო 20 პროცენტი ფიქრობს, რომ უწყების დამოუკიდებლობის ხარისხი საშუალოა.





კადრების კომპეტენტურობა




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა 77 პროცენტი საქსტატის კადრების კომპეტენტურობას მაღალ დონეზე აფასებს, 11 პროცენტი თვლის, რომ საშუალო დონისაა, ხოლო 2 პროცენტი დაბალ შეფასებას აძლევს.





სიახლეებზე ორიენტირება




სიახლეებზე ორიენტირების თვალსაზრისით, მომხმარებლების 55 პროცენტი საქსტატს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს, ხოლო 21 პროცენტი ამ მიმართულებას საშუალოდ აფასებს.





კომუნიკაციის ხარისხი




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა 78 პროცენტი თვლის, რომ საქსტატის კომუნიკაციის ხარისხი მაღალია, ხოლო 13 პროცენტი საშუალო შეფასებას აძლევს.






კონფიდენციალურობის დაცვა




მომხმარებელთა უმრავლესობა (65 პროცენტი) მიიჩნევს, რომ საქსტატის მხრიდან ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ხარისხი მაღალია.





გასული 1 წლის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხის შეფასება

გამოკვლევამ შესაძლებელი გახადა შეფასებულიყო მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის შეხედულება, გასული 12 თვის განმავლობაში საქსტატის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.




მომხმარებელთა 62 პროცენტის შეფასებით, გასული 12 თვის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 19 პროცენტი თვლის, რომ არ შეცვლილა.





სახელმწიფო საქტორის შეხედულება საქსტატის შესახებ




სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ მომხმარებელთა 67 პროცენტი თვლის, რომ საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 21 პროცენტის აზრით - არ შეცვლილა.





ბიზნეს სექტორის შეხედულება საქსტატის შესახებ




ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა 70 პროცენტის აზრით, საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, 19 პროცენტი ფიქრობს, რომ არ შეცვლილა.





მედიის შეხედულება საქსტატის შესახებ




მედიის წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობა - 76 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 18 პროცენტი ფიქრობს, რომ არ შეცვლილა.





ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შეხედულება საქსტატის შესახებ




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ადგილობრივ მმართველობაში და თვითმმართველობაში დასაქმებულია 80 პროცენტი თვლის, რომ საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა.





არასამთავრობო სექტორის შეხედულება საქსტატის შესახებ



არასამთავრობო სექტორში დასაქმებულ მომხმარებელთა 66 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 17 პროცენტი ფიქრობს, რომ არ შეცვლილა.





სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებების შეხედულება საქსტატის შესახებ

მიჭირს პასუხის გაცემა

13%

არ შეცვლილა


13%

ძალიან გაუმჯობესდა

35%

გაუმჯობესდა

40%




სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა 75 პროცენტი თვლის, რომ საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 13 პროცენტის აზრით, არ შეცვლილა.





საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციების შეხედულება საქსტატის შესახებ




საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებში დასაქმებულთა 75 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 17 პროცენტი ფიქრობს, რომ არ შეცვლილა.





კვლევითი, საკონსულტაციო (Think tank) ორგანიზაციების შეხედულება საქსტატის შესახებ




კვლევითი, საკონსულტაციო (Think tank) ორგანიზაციებში დასაქმებულთა 64 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 19 პროცენტი ფიქრობს, რომ არ შეცვლილა.





გენდერული სტატისტიკის გამოყენების მიზნები

გამოკვლევის ფარგლებში შეგროვდა დეტალური ინფორმაცია გენდერული სტატისტიკის შესახებ. კერძოდ, გენდერული სტატისტიკის გამოყენების მიზნის, პროდუქტებით სარგებლობის სიხშირისა და გენდერული სტატისტიკის პროდუქტებით კმაყოფილების შესახებ. ასევე მომხმარებელს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა სტატისტიკური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“ და გენდერული სტატისტიკის პორტალი.




მომხმარებელთა 60 პროცენტი გენდერულ სტატისტიკას იყენებს კვლევითი მიზნით, 59 პროცენტი - ზოგადი ინფორმაციის მიღებისათვის, ხოლო 40 პროცენტი - ანალიზის მიზნით.





საქსტატის მიერ შეთავაზებული, გენდერული სტატისტიკის პროდუქტებით სარგებლობის სიხშირე




გენდერული სტატისტიკის პროდუქტების სარგებლობის სიხშირის მიხედვით გამოკვლევის შედეგების გაანალიზებისას, ირკვევა, რომ მომხმარებლები გენდერული სტატისტიკის პროდუქტებით ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ ნელინადში რამდენჯერმე.





გენდერული სტატისტიკის პროდუქტების შეფასება


მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა გენდერული სტატისტიკის პორტალს, სტატისტიკურ პუბლიკაციას „ქალი და კაცი საქართველოში“ და ინფოგრაფიკებს მაღალ შეფასებას აძლევს.





გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა მონაცემებით სარგებლობის სიხშირე

მომხმარებელთა უმრავლესობა გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა მონაცემებით სარგებლობს კვარტალში ან წელიწადში რამდენჯერმე.




- წელიწადში რამდენჯერმე
- კვარტალში რამდენჯერმე
- თვეში რამდენჯერმე
- კვირაში რამდენჯერმე
- ყოველდღიურად






გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა მონაცემებით კმაყოფილება

სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა გენდერული სტატისტიკის თითქმის ყველა მონაცემებს მაღალ შეფასებას აძლევს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ, შედარებით დაბალი შეფასება მიიღო სამმართველოდარღვევების, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკამ.





„ქალი და კაცი საქართველოში“ პუბლიკაციის შეფასება




გამოკვლევის შედეგების მიხედვით გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებმა მაღალი შეფასება მისცეს სტატისტიკურ პუბლიკაციას „ქალი და კაცი საქართველოში“, მათ შორის ყველაზე მაღალი შეფასება (79 პროცენტი) დაიმსახურა შემოთავაზებული თემატიკისა და ინდიკატორების მრავალფეროვნებამ.





გენდერული სტატისტიკის პორტალის შეფასება



გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებმა მაღალი შეფასება მისცეს გენდერული სტატისტიკის პორტალს, მათ შორის ყველაზე მაღალი შეფასება, 77 და 74 პროცენტები შესაბამისად, დაიმსახურა დროულობამ (მოვლენის მოხდენასა და მასზე მონაცემების ხელმისაწვდომობას შორის არსებული დროის ხანგრძლივობა) და ინდიკატორების დეტალიზაციის დონემ (რამდენად არის პორტალზე მონაცემები წარმოდგენილი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით, როგორიცაა ასაკი, ეთნიკური უმცირესობები, შშმ პირები და ა.შ.).



სანაო მონაცემები სწორი
ჯალაწყვეტილობებისთვის!



ჩვენ

- 1 პატივს ვცემთ და ვაფასებთ ჩვენს რესპონდენტებს!
- 2 ვუსმენთ და ვმუშაობთ ჩვენი მომხმარებლებისათვის!
- 3 ვართ პროფესიონალების გუნდი!
- 4 და ლიდერები ჩვენი საქმიანობის სფეროში!

